KARR0188861902422

№7/02
12 / იანვარი / 2022 წ.

სსიპ ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს
უფროსის მოვალეობის შემსრულებელს ბატონ
რამაზ ობოლაძეს

მოხსენებითი ბარათი

ბატონო რამაზ,

სსიპ ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) ინდუსტრიულ და სამშენებლო პროდუქტებზე ზედამხედველობის დეპარტამენტის 2022 წლის I კვარტლის სამოქმედო გეგმა (შემდგომში - I კვარტლის გეგმა) შემუშავებულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2019 წლის 27 დეკემბრის N1-1/624 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს დებულების მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ" ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2016 წლის 30 დეკემბრის N641 დადგენილებით დამტკიცებული სამრეწველო და სამომხმარებლო პროდუქტების ბაზარზე ზედამხედველობის მრავალწლიანი სამოქმედო გეგმის შესაბამისად.

სააგენტოს მიერ იდენტიფიცირებულ იქნა ეკონომიკური ოპერატორები, რომლებიც ახორციელებენ სააგენტოს ზედამხედველობას დაქვემდებარებული პროდუქტების რეალიზაციას. შესაბამისად, წინამდებარე გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად, სააგენტოს უფროსის ბრძანების საფუძველზე, სააგენტოს შესაბამისი დეპარტამენტის თანამშრომლები მივლინებულ იქნებიან ბრძანების N1 დანართში მითითებულ ობიექტებზე ბაზარზე ზედამხედველობის პროცედურის განხორციელების მიზნით.

დოკუმენტურ და ტექნიკურ შემოწმებას დაქვემდებარებული პროდუქტების რაოდენობა წინასწარ არ არის იდენტიფიცირებადი და დამოკიდებულია ბიზნეს სუბიექტებს შორის გაფორმებული კონტრაქტების (ბაზარზე სარეალიზაციოდ განთავსებული პროდუქტების) რაოდენობაზე. N1 დანართში მოცემული მონაცემები, მათ შორის პროდუქტების ჩამონათვალი, ადგილმდებარეობა, ეკონომიკური ოპერატორების დასახელება და რაოდენობა შესაძლოა შეიცვალოს საბაზრო გამოწვევებისა და განსახორციელებელი ინსპექტირებების ეფექტურობის გათვალისწინებით. ასეთ შემთხვევებში, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული წესით ცვლილებები შევა შესაბამის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში. დანართი 1-ით გათვალისწინებულ ობიექტებზე ზედამხედველობის (ინსპექტირების) პარალელურად, მოხდება მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ეკონომიკური ოპერატორების და მათ მიერ ბაზარზე სარეალიზაციოდ განთავსებული ზედამხედველობას დაქვემდებარებული პროდუქტების იდენტიფიცირება, ბაზრის კვლევა და მოპოვებული ინფორმაცია, საჭიროების შემთხვევაში, საფუძვლად დაედება გეგმის ცვლილებას.

ზედამხედველობის ფარგლებში მოხდება: · ბაზარზე განთავსებული სამშენებლო პროდუქტების (ცემენტი; არმატურა; თაბაშირ-მუყაო; ელ. კაბელი) შემოწმება და მათი მთავრობის 2018 წლის 1 ოქტომბრის N476 დადგენილებით დამტკიცებული „სამშენებლო პროდუქტების შესახებ" ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა. · ბაზარზე განთავსებული წნევის ქვეშ მომუშავე მოწყობილობების შემოწმება (ცეცხლმაქრები) და მათი მთავრობის 2013 წლის 19 ივნისის N151 დადგენილებით დამტკიცებული „წნევის ქვეშ მომუშავე მოწყობილობების შესახებ" ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა და ბაზარზე განთავსებული მანქანა-დანადგარების შემოწმება და მათი მთავრობის 2020 წლის 6 თებერვლის N85 დადგენილებით დამტკიცებული „მანქანა-დანადგარების შესახებ" ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა.

პროდუქტების/ეკონომიკური ოპერატორების შერჩევასა და საზედამხედველო ობიექტების რაოდენობის განსაზღვრას, საფუძლად დაედო, როგორც სამოქალაქო სექტორთან მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად მოპოვებული, ასევე, სააგენტოს ანალიტიკური მუშაობისა და წარსულში ჩატარებული შემოწმებების შედეგად მიღებული ინფორმაცია.

საზედამხედველოდ შერჩეულ იქნა როგორც ადგილობრივი წარმოების, ასევე იმპორტირებული პროდუქტები. შემოწმებების განხორციელება დაიგეგმა საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში. აღნიშნულის მიზანია, შემოწმებებს ჰქონდეთ როგორც აღმკვეთი, ასევე პრევენციული ხასიათი და ხელი შეუწყოს როგორც ინფორმაციის გავრცელებას, ასევე მოპოვებას, ბაზარზე განთავსებული სხვადასხვა პროდუქტების თუ ეკონომიკური ოპერატორების შესახებ.

ზემოხსენებულ დანართში მოცემული ეკონომიკური ოპერატორები და პროდუქტები დაექვემდებარებიან გადამოწმებას შეუსაბამობის გამოვლენის და კანონმდებლობით გათვალისწინებული მიცემული გონივრული ვადის გასვლის შემდეგ.

ხელმოწერილია/
შტამპადასმულია
ელექტრონულად